ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-218

2 თებერვალი 2017წ.

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №42ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.639), ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 18 იანვრის №3 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №42ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.639), მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, მიენიჭოს ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები.


2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200


N
W
E
S
ნორმატიული ფასების ზონის საზღვარი
269
102 ლარი
36 ლარი
1210
1
1:300